პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

ბრძანება №01/23

ქ. თბილისი

7/04/2022 წ.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმებების (ინსპექტირება) 2022 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 40^2 მუხლის მე-3 პუნქტის და „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 მარტის №04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. თანდართული სახით დამტკიცდეს „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2022 წლის გეგმის თემატიკა“ (დანართი №1).
2. თანდართული სახით დამტკიცდეს „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2022 წლის გეგმა“ (დანართი №2).
3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საჯარო სექტორზე ზედამხედველობის დეპარტამენტმა, კერძო სექტორზე ზედამხედველობის დეპარტამენტმა და სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის დეპარტამენტმა, ამ ბრძანების დანართი №2-ით განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმების დაწყებამდე, შემოწმების ფარგლები განსაზღვრონ ამ ბრძანების დანართი №1-ით დამტკიცებული, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2022 წლის გეგმის თემატიკის გათვალისწინებით.
4. დაევალოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ადმინისტრაციული და ეკონომიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტს აღნიშნული ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლელა ჯანაშვილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი

დანართი №1

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2022 წლის გეგმის თემატიკა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური 2022 წლის განმავლობაში შეამოწმებს პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებას შემდეგი თემატიკით:

1. მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით:

ა) არასრულწლოვნები;

ბ) მიგრანტები;

გ) ქალები.

2. სფეროების მიხედვით:

ა) შრომითი ურთიერთობები;

ბ) ფარული საგამოძიებო მოქმედებები;

გ) ელექტრონული კომუნიკაციები;

დ) თანამედროვე ტექნოლოგიები;

3. მონაცემთა მოცულობის მიხედვით;

4. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების მიხედვით.

დანართი №2

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2022 წლის გეგმა

№	შემოწმების ობიექტი	შემოწმების თემატიკა (ვიდეოთვალთვალი, ბიომეტრია, შრომითი უფლებები, მონაცემთა სუბიექტის უფლებები, მონაცემთა ბაზები და ა.შ.)
1	სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №3 საჯარო სკოლა	საფუძვლები, პრინციპები, უსაფრთხოება, არასრულწლოვნების მონაცემების დამუშავება. სკოლის კოლეგიური ორგანოების მიერ მონაცემების დამუშავება.
2	სსიპ - ქალაქ თბილისის №198 საჯარო სკოლა	საფუძვლები, პრინციპები, უსაფრთხოება, არასრულწლოვნების მონაცემების დამუშავება. სკოლის კოლეგიური ორგანოების მიერ მონაცემების დამუშავება.
3	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	მონაცემთა ბაზები, წვდომა, უსაფრთხოება, ახალგაზრდები, არასრულწლოვნები, სასწავლო პორტალის მეშვეობით მონაცემების დამუშავება.
4	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვაკის რაიონის გამგეობა	წვევამდელთა მონაცემების დამუშავება, არასრულწლოვნები. მონაცემთა დამუშავების პრინციპები, უსაფრთხოება, მონაცემთა ბაზები.
5	სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	ქალების/არასრულწლოვნების მონაცემების დამუშავება, შესაბამისი მონაცემთა ბაზები, მონაცემთა დამუშავების პრინციპები, წვდომები, უსაფრთხოება.
6	სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ქალების მონაცემების დამუშავება, მონაცემთა ბაზები, წვდომა, უსაფრთხოება, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები.
7	სსიპ - საპენსიო სააგენტო	დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართული პირების (მათ შორის დასაქმებულების) მონაცემების დამუშავება, მონაცემთა ბაზები, საფუძვლები, პრინციპები, უსაფრთხოება.
8	სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატა	მონაცემთა ბაზები, წვდომა, უსაფრთხოება
9	სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო	მონაცემთა ბაზები, მონაცემების მოპოვების საფუძვლები, პრინციპები, წვდომები.
10	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი პროგრამის ფარგლებში მონაცემთა ბაზები, წვდომა, უსაფრთხოება, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები/არასრულწლოვნები.

დანართი №2

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების 2022 წლის გეგმა

11	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	მონაცემთა ბაზები, მიგრანტები, მოწყვლადი ჯგუფები, არასრულწლოვნების მონაცემების დამუშავება, ქალების მონაცემების დამუშავება.
12	სპეციალური პენიტენციური სამსახური	საფუძვლები, პრინციპები, უსაფრთხოება, არასრულწლოვნები.
13	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	შრომითი უფლებები, მოცულობა, საფუძვლები, პრინციპები, უსაფრთხოება, შენახვის ვადები.
14	საქართველოს პროკურატურა	ფარული საგამოძიებო მოქმედებების კონტროლი; მონაცემთა პროპორციულობა; შენახვის ვადები; მონაცემთა ბაზები; მონაცემთა უსაფრთხოება.
15	სსიპ - ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო	ფარული საგამოძიებო მოქმედებების კონტროლი.
16	ს.ს. „სილქნეტი“ (ს/ნ 204566978)	კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების კონტროლი.
17	შპს „აიბი - მთიები“ (ს/ნ 202166921)	საფუძვლები, პრინციპები, უსაფრთხოება, არასრულწლოვნების მონაცემების დამუშავება. სკოლის კოლეგიური ორგანოების მიერ მონაცემების დამუშავება.
18	სს „ჩაჩავას კლინიკა“ (ს/ნ 203827608)	მონაცემთა ბაზები, წვდომა, უსაფრთხოება, მშობიარეთა მონაცემების დამუშავება.
19	სს „ბაზისბანკი“ (203841833)	დასაქმებული პირების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისა და სატელეფონო ზარებისა და ელექტრონული ფოსტის მონიტორინგის მეშვეობით დასაქმებული პირების მონაცემების დამუშავება. შრომითი უფლებები, მონაცემთა ბაზები, მოცულობა, უსაფრთხოება, შენახვის ვადები.
20	სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი" (ს/ნ 404967078)	დასაქმებული პირების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისა და სატელეფონო ზარებისა და ელექტრონული ფოსტის მონიტორინგის მეშვეობით დასაქმებული პირების მონაცემების დამუშავება. შრომითი უფლებები, მონაცემთა ბაზები, მოცულობა, უსაფრთხოება, შენახვის ვადები.
21	შპს "კამექს ინტერნეიშნლ" (ს/ნ 405064013)	ვებგვერდის მეშვეობით მომსახურების მიღების პროცესში მომხმარებლების მონაცემების მოპოვება და შენახვა, მონაცემთა ბაზები.
22	შპს "ისი პარი" (ს/ნ 205038252)	ფასდაკლების ბარათის მეშვეობით მონაცემების დამუშავება, მონაცემთა ბაზები, უსაფრთხოება.
23	შპს "ლუკოილ-ჯორჯია" (ს/ნ 204976302)	ფასდაკლების ბარათის მეშვეობით მონაცემების დამუშავება, მონაცემთა ბაზები, უსაფრთხოება.

დანართი №2

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების 2022 წლის გეგმა

24	სს „აიდენთითი ენდ თრასთ სოლუშენის“ (ს/ნ 405365215)	დისტანციური იდენტიფიკაციის პროცესში მონაცემების დამუშავება, ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება.
25	შპს „რეიზომატი“ (ს/ნ 402102005)	დისტანციური იდენტიფიკაციის პროცესში მონაცემების დამუშავება, ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება.